



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 ნოემბერი 2023



N 642/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე გათვალისწინებული ფუჭი ქანების №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე გათვალისწინებული ფუჭი ქანების №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 8 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №242/ს), რომლის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ფუჭი ქანების №15 სანაყაროს პროექტის კორექტირება, რაც განპირობებულია სანაყაროზე განსათავსებელი გამონამუშევარი ფუჭი ქანების რაოდენობის შემცირებითა და ნაპირსამაგრი ნაგებობის კონსტრუქციის ცვლილების აუცილებლობით. კერძოდ, ფუჭი ქანების №15 სანაყაროს შეთანხმებული პროექტის მიხედვით, აღნიშნულ სანაყაროზე განსათავსებელი ფუჭი ქანების რაოდენობა შეადგენდა 422 016 მ³-ს, ხოლო სანაყაროს ფართობი – 43 975 მ²-ს. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, №15 სანაყაროზე განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობა იქნება 230 197 მ³, ხოლო ფართობი – 39 992 მ². რაც შეეხება სანაყაროს დამცავ ნაპირსამაგრ ნაგებობას, №15 სანაყაროსათვის სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ფლეთილი ქვის დამცავი კონსტრუქცია ჩანაცვლდება უფრო მცირე მოცულობის და მეტად ეფექტური ნაპირდამცავი ნაგებობით – ყორე-ბეტონის კონსტრუქციით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, მდ. ძირულას ხეობის მარცხენა ფერდის ქვედა ნაწილში. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: სანაყარო – X-362641, Y-4663171; X-362620, Y-4663207; X-362486, Y-4663246; X-362363, Y-4663320; X-362187, Y-4663356; X-362143, Y-4663297; X-362162, Y-4663291; X-362312, Y-4663234; X-362427, Y-4663199; X-362541, Y-4663163; X-362614, Y-4663129; ნაპირსამაგრი ნაგებობა – X-362160, Y-4663357; X-362292, Y-4663363; X-362454, Y-4663276; X-362647, Y-4663170; X-362561, Y-4663221;

X-362363, Y-4663320; X-362164, Y-4663347. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 45 მეტრით, ხოლო აღმოსავლეთით, დაახლოებით 20 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სანაყაროსა და ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია მდ. ძირულას მარცხენა ნაპირზე, სადაც მდინარეს, მაღალმთიანი ფერდობის დასაწყისამდე, გააჩნია 50-100 მ სიგანის სანაპირო ტერასა. სანაყაროს სიგრძე იქნება 500 მეტრი, ხოლო განთავსებული ფუჭი ქანების ნაყარი ფენის სისქე – 12-14 მეტრი. სანაყაროზე მოსაწყობი ყრილის სიგანე, ზედა ნაწილში, მერყეობს 38-68 მეტრის ფარგლებში. ყრილის ორივე მხარე დახრილი იქნება 1.5 მეტრით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №15 სანაყაროს ყრილის ფერდობის ძირის გამორეცხვისაგან დასაცავად, ნაცვლად ფლეთილი ქვის დამცავი კონსტრუქციისა, გათვალისწინებულია 550 მეტრი სიგრძის ყორე-ბეტონის ეკრანის მოწყობა. ნაპირსამაგრი ნაგებობა აიგება 20-60სმ ქვებისა და B-20 მარკის მონოლითური ბეტონის ნარევით (შეფარდებით 50%-50%). ყორე-ბეტონის ეკრანის სისქე იქნება 0.5 მ, ხოლო სიგანე – 14.6 მ. ეკრანის ქიმი განთავსდება 40 სმ-ით მაღლა მდინარის 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური საანგარიშო ხარჯის დროს მოსალოდნელ წყლის დონესთან.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 48.4 კმ, საერთო ვარდნა – 872 მ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 364 კმ². წყლის მაქსიმალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 100 წლიანი, 50 წლიანი, 20 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯი, საანგარიშო 1%-იანი უზრუნველყოფის შემთხვევაში, შეადგენს 445 მ³/წმ-ს. მდინარის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ტოლია 6.45 მეტრის, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს 4.29 მეტრს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და სხვა დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. №15 სანაყაროსათვის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის განმავლობაში. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება 3 ექსკავატორი, 2 ბულდოზერი, 2 ბეტონმზიდი, 1 ბეტონსაქაჩი ტუმბო, 6 თვითმცლელი და 1 კომპაქტორი. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე განხორციელდება სანაყაროს ზედაპირიდან დაახლოებით 4 200 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რის შემდგომაც სანაყაროზე განთავსდება გამონამუშევარი ფუჭი ქანები, ყრილის ფერდობისათვის საპროექტო ქანობის მიცემით. სამშენებლო სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოეწყობა სანაყაროს დამცავი ყორე-ბეტონის ეკრანი. სანაყაროს მოწყობის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სანაყაროს ზედაპირის რეკულტივაციისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების ტრანსპორტირების პროცესში, რასაც იქნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ამასთან, დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: ინერტული მასალის ტრანსპორტირება მოხდება ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, გაკონტროლდება სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართულობა და მოძრაობის სიჩქარე, აკრძალება სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის

გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. ძირულას დაბინძურების ძირითადი რისკები დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. მდ. ძირულას აუზი გეოლოგიურად ძირითადად აგებულია პალეოზოური ასაკის გრანიტებით, გრანოდიორიტებით და გნეისებით, რომლებიც ფერდობებზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის მეოთხეული ნალექებით. შერჩეული ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს მდ. ძირულას მარცხენა ჭალისზედა ტერასას, აგებულია ალუვიური და ალუვიურ-პროლუვიური კენჭნარით, ქვიშნაროვან-თიხნაროვანი შემავსებლებით. ტერასული საფეხური, რომელზედაც გათვალისწინებულია ფუჭი ქანების განთავსება და ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა, მთლიანად აგებულია ალუვიურ-პროლუვიური კენჭნარით, კაჭარის ჩანართებით და ქვიშნაროვან-თიხნაროვანი შემავსებლებით. საკვლევ არეალში გამოიყოფა ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე-1), რომელიც წარმოდგენილია კენჭნარით – კაჭარის ჩანართებით, ქვიშნაროვან-თიხნაროვანი შემავსებლებით. საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოსაწყობად გათვალისწინებული ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს რიყნარს. სანაყაროსა და ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიაზე ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეები არ გვხვდება. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე გათვალისწინებული ფუჭი ქანების №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს №242/ს ბრძანება;
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

